ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 48
(11 709)

27 - 30 ივნისი, 2003 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# „სიონი“ უეფასთვის ემზადება და კომისიას ელის

ბოლნისელები 23 ივნისს შეიკრიბნენ, დედაქალაქში გამოეშურნენ და იპოდრომზე ვარჯიშობენ. გუნდი თბილისში, თვის ბოლომდე დარჩება. 1 ივლისს კი, ორი კვირით ლაგოდეხში ჩავა. სლოვაკურ „პუხოვთან“ უეფას საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩისთვის ბოლნისელებს გაძლიერება მართებთ, რადგან გუნდიდან ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა. საიმედო შევსება მოსაძებნია. კარგად მოსამზადებლად გუნდის თავკაცობა, არც უცხოეთის შეკრებას გამორიცხავს. სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს თემურ სტეფანიას სახელობის სტადიონზე, იქ, თითქმის, ყველაფერი იცვლება და ბოლნისელები სლოვაკი მეტოქის მიღებას შინ ეშურებიან. ამისთვის კი, უეფას ოფიციალური კომისიის დასტურია საჭირო, რომელიც დღე-დღეზე, 30 ივნისს, ესტუმრება ბოლნისს, სარემონტო სამუშაოებს, სტადიონის ახალ ინფრატსრუქტურას შეამოწმებს, გააანალიზებს და თუ მოიწონებს დადებითი პასუხიც არ დააყოვნებს. ასე რომ, შანსია საპასუხო შეხვედრას სლოვაკებთან „სიონმა“ შინ უმასპინძლოს.

## ნომერში წაიკითხავთ:

- „ჩრდილი მეტია, სინათლე - ცოტა...“
- ქართული და უცხოეთის ფეხბურთის ამბები
- პლუს ორი წიგნი თქვენს სპორტულ ბიბლიოთეკაში
- 60 ნაკერი რა ამბავია!
- „ფორმულა 1“-ის კალენდარი
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი

## ვახტანგ ქარსელაძის მემორიალი

წუხელ, ჭადრაკის სასახლეში დასრულდა ვახტანგ ქარსელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი, რომელშიც თბილისისა და საქართველოს რაიონების გუნდები ასპარეზობდნენ. შეჯიბრება ჩატარდა სამ ასაკობრივ ჯგუფში: 8, 10 და 14 წლიანებში.

8 წლის ასაკის მოჭადრაკეთა გუნდურ ტურნირში პირველობა არავის დაუთმო ფოთის „ნანა 1“-მა (მწვრთნელი დავით კოდუა), რომელმაც ფინალში 2,5:1,5 დაამარცხა ზუგდიდის „ლაზიკა“ (მწვრთნელი გოჩა თორია). მესამე ადგილზე გავიდა „ჭადრაკის სასახლე“ (მწვრთნელი მაყვალა ხანთაძე). 10 წლის ასაკის მოჭადრაკეთა გუნდურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გავიდა ზუგდიდის „ნონა 1“ (მწვრთნელი გოჩა თორია), რომელმაც ფინალში დაძაბულ ბრძოლაში 2,5:1,5 სძლია თბილისის 147-ე საშუალო სკოლის გუნდს (მწვრთნელი ზაზა ჰკუასელი). მესამე ადგილი დაიკავა „ალადინმა“ (მწვრთნელი დავით ჯაფარიძე).

14-წლიანებში პირველობა რუსთავის „აზოტმა“ მოიპოვა (მწვრთნელი ხვიჩა ბახტაძე), მეორე იყო „იმედი“ (მწვრთნელი ლაშა ჯანჯღავა), ხოლო მესამე — „ვარსკვლავი“ (მწვრთნელი ალექსანდრე ყაშაშვილი).

## ევროპის შვიდკაცა თბილისში



შაბათს და კვირას თბილისი შვიდკაცა რაგბში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ტურნირს უმასპინძლებს „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

თბილისში ითამაშებენ უკრაინის, ისრაელის, ბელგიის, სომხეთის, საფრანგეთის, რუმინეთის, იტალიისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

ფინალური ეტაპი გაიმართება გერმანიის ქალაქ ჰაიდელბერგში 6-16 აგვისტოს.

## ვიტელებს პოლონელები უმსაჯებენ



ხვალ, 18 საათზე, ეროვნულ სტადიონზე, „ვიტ ჯორჯია“ ინტერტოტოს თასის გათამაშების საპასუხო მატჩში, ავსტრიულ „პაშინგს“ უმასპინძლებს და რევანშის აღებას შეეცდება. ხვალინდელ ქართულ-ავსტრიულ საფეხბურთო პაექრობას პოლონელი მსაჯები გაუძღვებიან: რობერტ მალეკი, ტომაშ რუსეკი და ქშიშტოფ მირმუსი. მატჩის მეოთხე მსაჯია თბილისელი, ფიფას არბიტრი ალექსანდრე შილაკაძე.

# მარჯვი საქართველოს!

## სპონსორის მადლი - მედლები



ოლეგ იაძე - ყველა გამარჯვებათა შემოქმედი

პირველ ყოვლისა ეჭვი ჩვენი სტუდენტი სამბისტების წარმატებაში ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ოლეგ იაძეს არ ეპარებოდა. არც არასდროს დაეჭვებულა, რომ სამბოს ქართველი ოსტატები ერთ-ერთი გამორჩეულად უძლიერესები არიან მსოფლიოში, მაგრამ ყოველ ახალ შეჯიბრებაზე გამგზავრება ნერვების წყვეტის ფასად უჯდებოდა ყოველთვის. შიგადაშიგ სპორტის გაპოლიტიკოსებასაც მიმართავდა ხოლმე, რადგან სხვა გზა არ დარჩენოდა. არაერთი „რკინის ქალამანი“ გაცვითა ინსტანციებში თუ ქალაქ-რაიონებში სიარულით და ერთადერთი თხოვნით — დაგვაფინანსეთ და მედლები ჩვენზე იყოსო. ზოგჯერ ჰქონდა ნაკრების თავკაცის ხვეწნა-მუდარა-მუქარა, ზოგჯერ არა. მეტწილად — ჰქონდა!

მსოფლიოს უნივერსიადაზე გამგზავრებაც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. კვლავ მიდგა-მოდგა გულანთებული კაცი და ბოლოს გამოჩნდა ალალი სპონსორი — ბიზნესმენი ელგუჯა ბუბუტეიშვილი. ამ კაცმა ნაკრები კიდეც დააფინანსა და კიდეც შემოსა, გზაც დაულოცა. ბიჭებს კი თავისი შესაძლებლობების სჯეროდათ და თავიც არ შეურცხვენიათ საბერძნეთის ქალაქ სალონიკთან ახლომდებარე ამადეოში მსო[illegible] უნივერსიადაზე.

საქართველოს [illegible] ბმა [illegible] ლი მოიპოვა გუნდურ ჩათვლაში ([illegible] იყო საბერძნეთის, მესამე — რუსეთის ნაკრები), პირად პირველობაში კი არც ერთი მოჭიდავე არ დარჩენილა უმედლოდ. ჩემპიონები გახდნენ საგარეჯოელი უშანგი კუზანაშვილი (52), მცხეთელი (თბილისი) — გიორგი ბაინდურაშვილი (74), რუსთაველი გიორგი შუბითიძე (90), თბილისელი ზვიად წიკლაური (მძიმე) და დედოფლისწყაროელი ლევან წიკლაური (82), ვერცხლის მედალი დაიმსახურა მცხეთელმა დავით ლილუაშვილმა (100), ბრინჯაოსი — გორელმა აკაკი ხანიშვილმა (57) და საგარეჯოელმა დავით სვიმონიშვილმა (62).

ვულოცავთ ოლეგ იაძეს და მის შეგირდებს, სპონსორს — ელგუჯა ბუბუტეიშვილს.

## მილოცვა



„ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს ჩვენი გაზეთის ძველ მეგობარს, ვეტერან სპორტსმენს **რობერტ მელქაძეს.**

## დაწესდა პროფესიული დღეები

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაწესდა პროფესიული დღეები, რომელიც აღინიშნება ყოველწლიურად შემდეგ რიცხვებში.

**23 აპრილს** — წიგნისა და საავტორო უფლებების დღე;

**აპრილის მე-3 კვირადღეს** — მომსახურების სფეროს მუშაკის დღე;

**30 აპრილს** — ბიბლიოთეკარის დღე;

**25 ივლისს** — სტატისტიკის დღე;

**21 ოქტომბერს** — პოლიგრაფისტის დღე.

## შეკითხვა „ლელოს“

*შეკითხვა: გამიგია, რომ ადრე თბილისში იყო საფეხბურთო გუნდი „დურუჯი“. ვინ შექმნა იგი, რომელ წელს და ვის ეკუთვნოდა?*

*გიზო ბილიხოძე (თბილისი)*

**პასუხი:** „დურუჯი“ აღმოცენდა გასული საუკუნის 20-იან წლებში თბილისში არსებული გ. ქავთარაძის სახელობის გუნდის ბაზაზე. მისი შეფობა იკისრა მსახიობთა და რეჟისორთა კორპორაციამ და სახელი „დურუჯიც“ მათ დაანათლეს გუნდს. გუნდი რამდენიმე წელიწადში დაიშალა.

**ოლიმპიური ჩემპიონები მზია ჯუღელი, დავით ციმაკურიძე და რაფაელ ჩიმიშკიანი ღრმა სამძიმარს უცხადებენ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ასლან აბაშიძეს მეუღლის**

**მაგული გოგიტიძე-აბაშიძის გარდაცვალების გამო**

## ოთხი მედლით დაღესტნიდან



ელდარ კურტანიძე

დაღესტნის (რსფსრ) ქალაქ ხასავიურთში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში უმახანოვის პრიზზე. საქართველოს ნაკრები 15 სპორტსმენით მონაწილეობდა ტურნირში. მათგან პირველობა მოიპოვა სოხუმელმა ელდარ კურტანიძემ (96 კგ), მესამე ადგილზე გავიდნენ თბილისელები გელა სალირაშვილი (74) და მალხაზ ჯორბენაძე (84), გორელი — შალვა მუზიაშვილი (66). 11-14 სექტემბერს ნიუ-იორკში ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი. მანამდე საქართველოს ნაკრები მონაწილეობას მიიღებს კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც გაიმართება ვლადიკავკაზში.

## ხელდამშვენებულნი ანტალიიდან



მარიამ ქევხიშვილი

თურქეთის ქალაქ ანტალიაში დასრულდა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი მძლეოსნობაში. საქართველოდან წარმატებით იასპარეზა 18 წლის მარიამ ქევხიშვილმა, რომელმაც ბირთვის კვრაში შედეგით — 14,92 მ. ვერცხლის მედალი მოიპოვა. სამხტომში მესამე ადგილზე გავიდა იულია დუბინა — 13.02, ასევე მესამე პრიზიორი გახდა 110 მ-ზე თარჯრბენში დავით ილარიანი. სამივე სპორტსმენი თბილისელია.

ქალთა შორის გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მძლეოსნები VII ადგილზე გავიდნენ, ვაჟები — IX-ზე.

## რედაქტორის სვეტი

### დიდი სპორტის საფუძველი ბავშვთა სპორტშია

დიახ, სწორედ რომ ასეა და თითოეულმა ჩვენგანმა ეს ჩინებულად იცის. არ ვიცით მხოლოდ ის, თუ რატომ უგულებელყოფენ ამ ჭეშმარიტებას ისინი, ვისაც ევალება ზრუნვა ბავშვთა სპორტზე თუნდაც, როგორც ახალგაზრდა თაობის ჰარმონიულად აღზრდის ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე. რა კარგად ჟღერდა ერთ დროს და რა მწყობრად იყო ერთიან სპორტულ მოძრაობაში ჩამჯდარი საქმით და შინაარსით დევიზი: „მომავალი ოლიმპიური ჩემპიონის მედალი მოსწავლის ჩანთაშია!“ ანდა, საყოველთაო მოწოდება: „ყველაფერი საუკეთესო - ბავშვებს!“

უკვე კარგა ხანია, რაც ქვეყნის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა და სარბიელი მისცა დოკუმენტს, რომელიც თითოეულ სამინისტროს, სახელმწიფო უწყებებს კონკრეტულ დავალებებს უსახავდა ბავშვთა სპორტში მდგომარეობის რადიკალურად გასაუმჯობესებლად. კაცმა რომ თქვას, დრო იმდენი გავიდა (დავალებათა ვადებიც თითქმის ამოიწურა), რომ დღეს სინანულით კი არ უნდა ვწერდეთ ამ დოკუმენტის შეუსრულებლობის შესახებ, არამედ, ჩვენ, ჟურნალისტები, ქებას უნდა ვასხამდეთ მაღალ ჩინოსნებს და მათ ქვეშევრდომთ პრეზიდენტის დავალებების განუხრელად შესრულების, ქვეყნისა და ერის ხვალინდელი დღის საკეთილდღეოდ გაწეული ამაგისთვის.

როგორღაც ყველანი იმპულსური გავხდით. პატრიოტობაში კვლავ ვეჯიბრებით ერთმანეთს, მაგრამ საქმე როცა საქმეზე მიდგება, იმდენად მდაბიონი ვხდებით, რომ იმპულსურობას უპასუხისმგებლობა ცვლის. და ეს ცხოვრების ნორმად იქცა.

დიახ, საერთო საქმეში პიროვნული დამოკიდებულება დიდ როლს ასრულებს, პასუხისმგებლობაც, მაგრამ რა ვქნათ, თუ პიროვნება საქმეში, მიზეზთა მოშველიებით, უარყოფითს უფრო მეტს ავლენს? დაბრკოლებას, წინ თუ გინდა წაიწიო, მზერა და ვიშვიში კი არ უნდა შეაგებო, არამედ დაძლევა-გადალახვა უნდა. აი, სად ვლინდება პატრიოტიზმი და პასუხისმგებლობა. აგერ მოინდომა თბილისის მერიის განათლების განყოფილებამ, მთელი თბილისის სკოლებისა და სპორტსკოლების ხელმძღვანელობა - მასწავლებლობა დააყენა ფეხზე და დედაქალაქის მოსწავლეთა თამაშები სწორედ, რომ ჩინებულად ჩაატარა. წესია, საქალაქო ასპარეზობებში გამარჯვებულებმა მოპოვებული უფლებით უნდა იასპარეზონ ქვეყნის რჩეულთა შორის, მაგრამ განათლების სამინისტრომ დაგეგმილი თამაშები ჩააგდო. აი, ასე, უბრალოდ, ჩააგდო, მორჩა და გათავდა, წადი და სადაც გინდა სამართალი იქ ეძიე. ძალიან ადვილი გამოდგა ვალდებულებაზე ხელის აღება, ცხადია, უფრო ძნელი იყო დაბრკოლების გადალახვა. ეტყობა მუშტრის თვალით სახეირო არაფერი მოჩანდა. ესეც ჩვენი ცხოვრების წესია.

მაგრამ, როდისღა ვიცხოვროთ ნამდვილი ცხოვრების წესით? „საკითხავი, აი, ეს არის“!

# გაზეთის დაბეჭდვამდე:

## კამერუნის ნაკრები კონფედერაციის თასის ფინალში გავიდა

წუხელ კონფედერაციის თასის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ კამერუნისა და კოლუმბიის ნაკრებები. კამერუნელი პიუს ნზიეფის მიერ გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში. საინტერესოა, რომ კამერუნის ნაკრები მატჩის უკანასკნელი 20 წუთის განმავლობაში 10 კაცის შემადგენლობით თამაშობდა (მატჩის არბიტრმა უხეშობისათვის მოედნიდან გააძევა ბილი), თუმცა კოლუმბიელმა ფეხბურთელებმა მაინც ვერ მოახერხეს ერთი საპასუხო გოლის გატანაც კი. კამერუნელებმა გაიმარჯვეს 1-0 და კონფედერაციის თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ.

27 - 30 ივნისი 2003

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 2 თვე დარჩა

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 9 თვე გაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

## უკეთ, ვიდრე სიდნეიში!





საქართველოს ტანმოვარჯიშეთა და ბატუტზე მხტომელთა ახალი, ნიჭიერი თაობა ეზრდება, რაშიაც უდიდესი წვლილი შეაქვთ ძირითადად თბილისში მომუშავე სპორტულ სკოლებს, ხელმძღვანელებს და მწვრთნელ-პედაგოგთა ამქარს. 2003 წლის პირველ ნახევარში არაერთ ასპარეზობაში გამოიჩინეს თავი ამ სკოლების აღსაზრდელებმა შინ თუ ქვეყნის გარეთ გამართულ ტურნირებში.

*სურათებზე საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა რჩეულნი (ზევით):* თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა სპორტული სკოლის ბატუტისტთა გუნდი; საქართველოს ბატუტისტთა ნაკრების ლიდერი ლიუბოვ გოლოვინა.

# „ჩრდილი მეტია, სინათლე – ცოტა“



გიული კახიძე

გიული კახიძე: დაამთავრა თბილისის მე-6 საშუალო სკოლა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, ასპირანტურა. იქვე დარჩა ფიზიკური აღზრდის, თეორიისა და მეთოდიკის კათედრაზე. იყო უფროსი ლაბორანტი. მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მეცნიერული კვლევის საგანი: ქართული კულტურა, კერძოდ, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ქართული ხალხური საშუალებები. არის დოცენტი. 1987 წლიდან დღემდე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის და მეთოდიკის კათედრის გამგეა (წლეულს მეოთხედაა არჩეული ექვსი წლით). ამჟამად მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე: „ფიზიკური აღზრდის ქართული ხალხური პედაგოგიკა“. არის საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი. ჰყავს ქალიშვილი თამარ მაჭავარიანი (ქიმიკოსი), სიძე – გიორგი ბიჭიაშვილი (პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი). შვილიშვილები მარიამი, ნიკა (სკოლის მოსწავლეები).

მეცნიერების გარდა, ქალბატონ გიულის მუდმივი თანამგზავრი პოეზიაა.

*„ჭრელი პეპელა მოფრინდა ჩემთან,*
*ჩაიმუხლა და სული მოითქვა,*
*დიდი თვალები შემომანათა*
*და მიჯნურობა ჩემი მოიმკა.*
*მეფერებოდა დათოვლილ თმებზე,*
*თვისი სამოსიც შემომთავაზა,*
*წლებს ნუ დაითვლი,*
*სულს გაუფრთხილდი,*
*მითხრა და უცებ გაუჩინარდა“.*

● **კმაყოფილი ხართ პროფესიის არჩევანით?**

— ძალიან. საერთოდ, სხვა დარგი, ჟურნალისტობა მინდოდა.

● **რამ განაპირობა პროფილის შეცვლა?**

— მეგობრის რჩევამ. ძალიან მიქებდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტს. აქ კი, ტრაბახად არ ჩამეთვალოს, ჩემი გონიერება მოეწონათ.

● **სპორტის აკადემიაში თქვენ ხართ კათედრის გამგე. გეტყობათ გიყვართ ახალგაზრდობასთან, სტუდენტებთან ურთიერთობა.**

— ნამდვილად, ახალგაზრდობა სულ სხვა ხალისია.

● ***გიფიქრიათ სხვაგან მუშაობაზე?***

— იყო პერიოდი, როდესაც მინდოდა, მაგრამ ვერ შეველიე სტუდენტებს, ასევე ჩვენი კათედრის შესანიშნავ პიროვნებებს: დოცენტ შოთა ბუაძეს, დოცენტ ოთარ ვახანიას, თენგიზ გიორგაძეს, ავთანდილ ცომაიას, საერთოდ, მთლიან კათედრას. ერთმანეთს ვერ ვღალატობთ.

● ***ამჟამინდელი სოციალური და გარემო პირობები, თქვენი აზრით, მოქმედებს მოზარდის ფსიქიკაზე?***

— დღევანდელი ურთულესი ხანა, უამრავი ცხოვრებისეული პრობლემა, მძიმე ეკონომიური ცხოვრება, ყოველდღიური უარყოფითი ემოციები, ეკოლოგიური დაბინძურება, ჰიპოდინამია, ფსიქიკური დატვირთვები, პირველ რიგში ანგრევს ჯანმრთელობას. მოზარდი თაობის ფაქიზ ფსიქიკაზე კი განსაკუთრებით ახდენს უარყოფით გავლენას.

● ***რა არის ყველაზე აუცილებელი, რომ მომავალი თაობა სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი აღიზარდოს?***

— უნდა ცხოვრობდნენ ჯანსაღ ქვეყანაში, ჯანსაღ ოჯახებში.

● ***რა მდგომარეობაა დღეს ფიზიკური აღზრდის აქტივობასთან დაკავშირებით სკოლებში?***

— ძალიან მტკივა გული, სავალალო მდგომარეობაა. ზოგიერთი სკოლა ცდილობს გაუმჯობესებას, არიან კარგი პედაგოგები, მაგრამ რა ჰქნან, უსახსრობაა... საერთოდ, ძალიან რთულია ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის ჩატარება. მასწავლებელმა ერთის მხრივ უნდა აღზარდოს, მეორე მხრივ გააჯანმრთელოს, გააკაჟოს და გაანათლოს მოზარდი. პედაგოგს ერთდროულად უწევს გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მობილიზება. წარმოიდგინეთ გაკვეთილი, სადაც 30 ბავშვი აქტიურად უნდა აამოქმედო. ამასთან, არიან სუსტი და ძლიერი ბავშვები, მასწავლებელმა კი ყველა უნდა დატვირთოს. არის სკოლები, სადაც ფიზაღზრდის გაკვეთილები არ ტარდება, ან თუ ტარდება, მისცემენ ბურთს და ბურთაობით შემოიფარგლება.

● **პირობებზე რას იტყვით?**

— აუცილებელია განიავებული დარბაზი, სათანადო ტემპერატურა, ჰიგიენური მოთხოვნების დაცვა, იარაღ-ინვენტარი. გაკვეთილი უნდა ტარდებოდეს მხოლოდ ერთ კლასთან. არ შეიძლება, მაგალითად, V და VIII კლასს ერთდროულად უტარდებოდეს გაკვეთილები. თითოეულ კლასს თავისი მასალა, ვარჯიშები და ამოცანები აქვს გადასაწყვეტი.

● **რამდენი წელიწადია, რაც სპორტულ სამყაროში მოღვაწეობთ?**

— 34 წელიწადია. ამ პერიოდში უამრავი სპორტსმენი გამოიზარდა ჩვენს სასწავლებელში.

● **როგორია თქვენი დამოკიდებულება სპორტისადმი?**

— დიდი სპორტსმენი არასოდეს ვყოფილვარ. სპორტული კი. დავდიოდი ტანვარჯიშის, ფრენბურთის, მძლეოსნობის სექციებში. სიყვარული სპორტისადმი ბავშვობიდან გამომყვა.

● ***რომელ სახეობას ანიჭებთ პრიორიტეტს?***

— ჭიდაობას. ფანატიკურად ვარ შეყვარებული ქართულ ჭიდაობაზე. ეს რაინდული ორთაბრძოლაა. ყველა ფანდი, ილეთი, ხერხი, წაქცეულის ხელის არ მიკარება, ვაჟკაცურია. დროსა და სივრცეში ლამაზი გადაადგილებები აქვს. ეს პოეზიაა.

*„არ დავიარა ქრუანტელმა ზურნის კივილზე,*
*საჭიდაოზე ფალავნების ხერხთა ჭიდილზე.“*

● ***ამქვეყნად ყველაფერი ბავშვობიდან მოდის, თქვენ რას იტყოდით?***

— მქონდა ბრწყინვალე ბავშვობა. ცოტა ახტაჯანა გოგო ვიყავი. მყავდა ძალიან კარგი ბებია — დედის დედა, ყოველმხრივ დახვეწილი პიროვნება, რომელმაც შთამაგონა მამულის, სამყაროს სიყვარული.

● ***სკოლაში როგორი მოსწავლე იყავით?***

— კარგი. ვუყვარდი ყველას. მქონდა თვითშემოქმედების ნიჭი. ზეიმებში, სხვადასხვა ღონისძიებების გახსნაში ვმონაწილეობდი.

● ***რომელი პერიოდი იყო ყველაზე რთული თქვენს ცხოვრებაში?***

— დედის გარდაცვალება.

*„რა ღრმაა სევდა, რა მძიმეა მისი ზვირთები“.*

● ***დაბრკოლებების გადალახვა თუ გიწევთ?***

— ყოველი დღე დაბრკოლების გადალახვაა ჩემთვის.

● ***რა არის ქალისთვის მთავარი, რომ ბედნიერი იყოს?***

— ოჯახი, თუ კარგად გყავს შვილი, შვილიშვილები — ესაა ბედნიერება.

● ***როდის დაწერეთ პირველი ლექსი?***

— გაგიკვირდებათ, სტალინი რომ გარდაიცვალა. იმ პერიოდში ფანატიზმამდე იყო აყვანილი მისი სიყვარული. ოთახში ჩაკეტილმა დიდხანს, ტირილით რომ გული ვიჯერე, ჩემდაუნებურად 5-6 სტროფიანი ლექსი დავწერე.

● ***რა ჟანრის ლექსებს წერთ?***

— ახალგაზრდობაში ლირიული ლექსები მქონდა. საერთოდ, ჩემი სიხარული და ტკივილია ჩემს ლექსებში.

● ***კრებული გაქვთ გამოცემული?***

— ვაპირებ, თუ მოვახერხე. მეგობრები არ მასვენებენ.

● ***თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?***

— შვილიშვილებთან. ვუკითხავ ილიას, აკაკის, ვაჟას... შემოქმედებას. ერთად ვსეირნობთ და ვისვენებთ.

● ***რას აფასებთ ადამიანში?***

— ერთგულებას, უანგარობას, სამართლიანობას. მირჩევნია მწარე სიმართლე მითხრან კარგად მოფიქრებულ ტყუილს.

● ***როგორ დაახასიათებთ საკუთარ თავს?***

— ამპარტავანი არასოდეს ვყოფილვარ, ამაყი, ემოციური, ფიცხი კი ნამდვილად ვარ.

● ***ოპტიმისტი?***

— დიახ, მჯერა ღმერთი არ გამწირავს, მჯერა მომავლის.

● ***ერთ თქვენს ლექსში ასეთი სტრიქონი ამოვიკითხე: „ჩრდილი მეტია, სინათლე - ცოტა“, ეს რა, პესიზმი არ არის? თუ არა, მაშინ რას გულისხმობთ?***

— ასპროცენტიანი ოპტიმისტი არ შეიძლება იყოს ადამიანი. მაგ სტრიქონშიც ის პესიმიზმია, ურომლისოდ ცხოვრება შეუძლებელია. შეჩვეულ წუთისოფელსაც ვგულისხმობ.

● ***საოცრად მომხიბლავი ქალბატონი ბრძანდებით, გიყვართ კომპლიმენტები?***

— ყალბი კომპლიმენტი - არა, ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი ფასი, ამიტომ კომპლიმენტში სიმართლეა მთავარი. ისე, ახალგაზრდობაში უფრო მალიზიანებდა კომპლიმენტები.

● ***ოჯახში დიასახლისობა ხშირად გიწევთ?***

— სამზარეულოში ყოველდღე. საუზმე, სადილი, ვახშამი სუფრაზე ესთეტიკურად ლამაზად მიტანილი მიყვარს.

● ***რომელი სამზარეულო მოგწონთ?***

— ქართული. ევროპულ სადილებსაც ვამზადებ.

● ***განსაკუთრებული რეცეპტი?***

— რეცეპტი, რომელსაც „ჩემს რეცეპტს“ ვეძახი, ესაა რულეტი, რომელიც ძროხის ხორცით და სუნელებით კეთდება.

● ***მანქანის საჭესთან მჯდომს სისწრაფე თუ გიყვართ, საერთოდ, თუ არღვევთ მოძრაობის წესებს?***

— სისწრაფე მიყვარს, როცა მარტო ვარ. თუ ოჯახია მანქანაში, წესების დაცვით ძალიან ფრთხილად დავდივარ.

● ***რას უსურვებთ მომავალ თაობას?***

— ბედნიერ, ჯანსაღ, სრულყოფილ, მშვიდობიან, აყვავებულ ქვეყანაში ცხოვრებას.

საუბარი ქალბატონმა გიულიმ საკუთარი ლექსებით დაასრულა.

*„მართლა რამდენი წელი გასულა,*
*მგონი იყო და არა იყო რა,*
*სამოცდახუთჯერ მზე გადასულა,*
*სხივი კი მახსოვს თითო-ოროლა“.*

ესაუბრა
**თამუნა ჯანვერდაშვილი.**





## საპატიო მესამე ადგილზე

საფრანგეთის ქალაქ რუანში ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება შიდოკანში (შიდოკანი - საბრძოლო სამჭიდი: კარატე, კიკბოქსინგი, ჭიდაობა). მონაწილეობდნენ ევროპის, აზიისა და აფრიკის 15 ქვეყნის პირველი ნაკრებები. საქართველოს ღირსებას იცავდნენ იოსებ კობერიძე (ფედერაციის პრეზიდენტი) და დავით გეჯაძე. წარმატებული სტარტის შემდეგ დ. გეჯაძე ნახევარფინალში დამარცხდა პოლონელ მებრძოლთან, თუმცა მსაჯების ეს გადაწყვეტილება საკმაოდ საეჭვო იყო. ი. კობერიძე კი ექიმებმა ტრავმის გამო აღარ დაუშვეს ფინალში საბრძოლველად. და მაინც, ჩვენმა მებრძოლებმა მესამე — საპატიო ადგილები დაიკავეს.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის ნოემბერში საქართველოს შიდოკანის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო სპორტულ პანკრატიონში (ბრძოლა წესების გარეშე). ასე რომ, ჩვენი ნაკრები სტაბილური შედეგებით გამოირჩევა.

გამოიწერეთ 2003 წლის II ნახევრისთვის



# მსაჯებმა მონაგარი შეაფასეს

სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტიც ემზადება ახალი სეზონისთვის. თუმცა მანამდე, ტრადიციულად, 19 ივნისს, „მსაჯის" დღეს, ჩვენი საფეხბურთო თემიდელები შეიკრიბნენ, ბურთიც გააგორეს, მადლიანად მოილხინეს, გასული სეზონის შედეგებიც შეაჯამეს, საუკეთესო ათეულები დაასახელეს და ახლა მომავალზე ფიქრობენ. მსაჯები შეკრება-მომზადებას 11 ივლისს დაიწყებენ. ეროვნულ სტადიონზე ნორმატივებს ჩააბარებენ, მეორე დღეს კი ბორჯომის გზას დაადგებიან, სადაც ჩემპიონატის დაწყებამდე იქნებიან. ფიზიკურად მოღონიერდებიან, თეორიულ გამოცდებს ჩააბარებენ, მერე კი ჩემპიონატიც დაიწყება.

## საუკეთესო მსაჯთა ათეულები

**არბიტრები**

1. ს. კვარაცხელია — ფიფას არბიტრი (ზუგდიდი)
2. მ. მალაღურაძე — „-" (თბილისი)
3. ლ. ფანიაშვილი — „-" (თბილისი)
4. ა. შილაკაძე — „-" (თბილისი)
5. კ. მესხი — ეროვნული კატეგორია (ზუგდიდი)
6. ა. შალამბერიძე — „-" (ქუთაისი)
7. ა. ორდინიძე — „-" (ონი)
8. ა. მეშკოვი — ფიფას არბიტრი (თბილისი)
9. დ. სანაია — „-" (სოხუმი)
10. ზ. ანიაშვილი — ეროვნული კატეგორია (გორი).

**ასისტენტები**

1. ლ. მიქელაძე — ფიფას ასისტენტი (სამტრედია)
2. გ. ჩიგოგიძე — „-" — (სამტრედია)
3. მ. ელიკაშვილი „-" (თბილისი)
4. ა. სამხარაძე „-" (სოხუმი)
5. კ. გაბრიაძე „-" (ქუთაისი)
6. ლ. სილაგავა „—" (თბილისი)
7. ზ. მენთეშაშვილი „-" (თბილისი)
8. ზ. ჯვარიძე „-" (თბილისი)
9. გ. ცირდავა „-" — ეროვნული კატეგორია (გულრიფში)
10. ნ. რუსიშვილი „-" (ქუთაისი).

# კალენდარი შედგა, „ლაზიკას" თბილისური დებიუტი

გუშინწინ, სფფ-ს საქტო დარბაზში უმაღლესი ლიგის 12 კლუბიდან 10 გუნდის წარმომადგენელი შეიკრიბა და მომავალი XV ეროვნული ჩემპიონატის კალენდრის კენჭისყრა მოეწყო. როგორც ჩემპიონს, თბილისის „დინამოს" ლოტოტრონში №1 პირდაპირ ერგო, დანარჩენი 11 კლუბი კენჭისყრით ასე დაინომრა: ტორპედო (2), ვიტჯორჯია (4), ლოკომოტივი (5), სიონი (8), კოლხეთი-1913 (3), დილა (10), დინამო (ბთ. 11), თბილისი (7), ლაზიკა (12), მერცხალი (6), მცხეთა (9). გუნდების წარმომადგენლები იქვე გაეცნენ პირველი სამი ტურის კალენდარსაც, რომელიც სრული სახით, უმაღლესი ლიგის კლუბებს რამდენიმე დღეში დაურიგდებათ. XV ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტური 26-27 ივლისს გაიმართება, პირველობის დებიუტანტებს, თავიდანვე, სერიოზული გამომცდელები ეყოლებათ. ევრო თასებზე მოასპარეზე თბილისის „დინამო" და „ვიტჯორჯია", შესაბამისად, ზუგდიდის „ლაზიკას" და „მცხეთას" უმასპინძლებენ. მეორე ტური 2-3 აგვისტოს, მესამე კი 9-10 აგვისტოს გაიმართება. ჩემპიონატის რეგლამენტში გარკვეული ცვლილებებია. უმაღლესი ლიგიდან ვარდება, ძველებურად, ორი გუნდი, ბოლოდან მესამე და მეოთხე გუნდები კი ლიგაში დარჩენისთვის გადასასვლელ მატჩებს გამართავენ პირველი ლიგის მესამე და მეოთხე გუნდებთან. ადრინდელისგან განსხვავებით, კლუბებს ტრანსფერების განხორციელების საშუალება წელიწადში მხოლოდ ერთხელ ექნებათ. წლეულს, ახალი სეზონის სატრანსფერო „ფანჯარა" ჩვენშიც და უცხოეთშიც 15 აგვისტოს იხურება, ასე რომ, ფეხბურთელების არჩევა და გუნდის გაძლიერება ყველა კლუბმა აღნიშნული ვადის გასვლამდე უნდა მოასწროს. სფფ-ს ფეხბურთის განვითარების და შეჯიბრებების კომიტეტის მესვეურებმა კენჭისყრისას, ისიც აღნიშნეს, რომ უმაღლესი ლიგის პირველობის პირველი ეტაპი დეკემბერში დასრულდება, თასის XIV გათამაშების შესარჩევი ეტაპი წლეულს დაიწყება და მომავალ წელს მარტში მეთექვსმეტედფინალის მატჩებით განახლდება. თასზე ფარმკლუბებს ასპარეზობის უფლება არ აქვთ. სათასო მატჩებისას გამოყენებული იქნება „ვერცხლის გოლის" წესი.

კენჭისყრის შედეგად, XV ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის პირველ სამ ტურში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**I ტური. 26-27 ივლისი**

დინამო (თბილისი) — ლაზიკა (ზუგდიდი)

ტორპედო (ქუთაისი) — დინამო (ბათუმი)

კოლხეთი 1913 (ფოთი) — დილა (გორი)

ვიტჯორჯია (თბილისი) — მცხეთა

ლოკომოტივი (თბილისი) — სიონი (ბოლნისი)

მერცხალი (ოზურგეთი) — თბილისი

**II ტური. 2-3 აგვისტო**

ლაზიკა — თბილისი
სიონი — მერცხალი
მცხეთა — ლოკომოტივი
დილა — ვიტ ჯორჯია
დინამო (ბთ) — კოლხეთი 1913
დინამო (თბ) — ტორპედო

**III ტური. 9-10 აგვისტო**

ტორპედო — ლაზიკა
კოლხეთი 1913 — დინამო (თბ)
ვიტ ჯორჯია — დინამო (ბთ)
ლოკომოტივი — დილა
მერცხალი — მცხეთა
თბილისი — სიონი

შარშანდელ ჩემპიონატში მოასპარეზე „მერანი-ოლიმპი" წლეულს, „თბილისის" სახელით ითამაშებს.

# არველაძე ლოკომოტივში ჩაჯდა

გადაწყდა. - რკინიგზელთა გუნდი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა რევაზ არველაძემ ჩაიბარა და მომავალ სეზონში „ლოკომოტივს" იგი უთავკაცებს. რკინიგზელთა ხელმძღვანელებს მწვრთნელთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებიათ, თუმცა ფორმალური მხარის შესრულება დროის საქმეა. რევაზ არველაძემ „ლოკომოტივის" უფროსობისგან კლუბში დაგროვილი პრობლემების გადაჭრის გარანტიები მიიღო და საქმესაც შეუდგა. ახალმა მწვრთნელმა ფეხბურთელები უკვე ავარჯიშა და თანდათან, ალბათ, არსებულ ვითარებაშიც გაერკვევა. კლუბში დარჩნენ: ლაშა სალუქვაძე, სერგო ორბელაძე, როინ ონიანი, მურთაზ ბურნაძე, მიხეილ სოსელია და რომან გოგინაშვილი, რკინიგზელთა რიგებში, ჯერჯერობით ირიცხებიან: ვლადიმერ კაკაშვილი, დავით სირაძე და გიორგი ლომაია, თუმცა მათი მომავალი ჯერ კიდევ გასარკვევია. გუნდს შეიძლება შეუერთდეს „ფრაიბურგიდან" მობრუნებული ზაზა ზამთარაძე, ელოდებიან პერუელი ლეგიონერების ნანასა და გამოჯანმრთელებული გალიარდოს გამოჩენას. გადასაწყვეტ საკითხთა სიმრავლით შეეგება „ლოკომოტივი" ახალ მწვრთნელს, მაგრამ რევაზ არველაძე და მისი ერთგული თანაშემწეები გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხეიძე ოპტიმისტური განწყობით შეუდგნენ მუშაობას. არველაძე გუნდთან ერთად ნაკრებსაც გაწვრთნის. „ორმაგი სამუშაო ხელს არ შემიშლის, პირიქით, ეროვნულ ჩემპიონატში ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატთა შერჩევა უფრო გამიადვილდება. ყოველდღიური მუშაობით გამოცდილებაც მომემატება და „ლოკომოტივსაც" მალე სრულად დავაკომპლექტებთ" —. განაცხადა მთავარმა მწვრთნელმა. 10 ივლისამდე გუნდი თბილისში მოემზადება, მერე გერმანიაში გაემგზავრება და ქართული კლუბებისთვის კარგად ათვისებული რუიტის საწვრთნელ ბაზაზე 22 ივლისამდე დარჩება.

# სფფ-ს სამსაჯო – საინსპექტორო კომიტეტის განცხადება

**უმაღლესი ლიგის კლუბებს!**

სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი მზად არის თქვენთვის სასურველ დროს, კლუბებში ჩაატაროს სემინარი ფეხბურთის წესებისა და უახლესი ცვლილებების შესახებ.

გთხოვთ, წინასწარ გვაცნობოთ თარიღი.

რეგლამენტის მიხედვით, ფეხბურთელი, რომელიც არ გამოამჟღავნებს ფეხბურთის წესების ელემენტარულ ცოდნას და არ გაივლის დადგენილი ტესტის მინიმუმს, ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მატჩებზე არ დაიშვება.

# საქველმოქმედო მატჩი

ხუთი დღის წინ, გურჯაანში, საქველმოქმედო მატჩი ჩატარდა. ამხანაგური შეხვედრის ინიციატორები კახეთისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციების თავკაცები — გოჩა როსტომაშვილი და მურად ანჯაფარიძე იყვნენ. კახეთისა და აფხაზეთის ნაკრებების მატჩი საინტერესო და კარგი სანახავი გამოდგა. ანგარიშით 3-0 გაიმარჯვა აფხაზეთის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ეროვნულ პირველობაზე მოასპარეზე ფეხბურთელებთან ერთად, ვეტერანებიც თამაშობდნენ: ზ. ქვაჩახია, ზ. კვეკვესკირი, ა. ხუბუტია, გ. ჩიხრაძე, ვ. გუჩუა, თ. ქირია, თ. უგრეხელიძე, ო. კაჭარავა, ი. გაბისკირია, გ. ცაავა, მ. რუსია, გ. ბართია, ჯ. ქორქოლიანი. ნაკრების უფროსი იყო ს. მალანია, მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბონდო კაკუბავა. მატჩს უძღვებოდნენ მსაჯები: ა. მეშკოვი, ზ. ხუციშვილი, ი. მექერიშვილი. ასეთ მატჩებში, როგორც წესი, ანგარიშს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება და არც ეს შეხვედრა ყოფილა გამონაკლისი. მრავლად იყვნენ მაყურებლებიც და საპატიო სტუმრებიც. საუკეთესო ფეხბურთელებს ილია ყალაბეგაშვილს (კახეთი) და გიორგი ჩიხრაძეს (აფხაზეთი) გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

საქველმოქმედო მატჩს ესწრებოდნენ: კახეთის რეგიონში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის პირველი მოადგილე გოგი მაჩხანაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია, გურჯაანის რაიონის გამგებელი გელა ბიწკინაშვილი, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ადგილობრივი მმართველობის სამსახურის თანამშრომელი გურამ მაღლაკელიძე, გურჯაანის რაიონის გამგებლის პირველი მოადგილე შალვა ომსარაშვილი.

მატჩის შემდეგ გაიმართა საზეიმო ცერემონია, სადაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მურად ანჯაფარიძემ ჩინებული მასპინძლობისთვის და დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა კახეთის რეგიონის ხელმძღვანელებს, ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებს და გულშემატკივრებს.

# „დინამო" შუაგულ ევროპაშია

საქართველოს ჩემპიონმა სამშაბათს რუიტისკენ აიღო გეზი. ივო შუშაკის სამწყემსო გერმანიაში 19 ფეხბურთელით ჩავიდა. გუნდს გერმანიაში შეუერთდნენ მთავარი მწვრთნელი და ბრაზილიელი ლეგიონერი კარლოსი. თბილისში ტრავმას მკურნალობდა რატი ალექსიძე და როგორც კი, მომჯობინდებოდა. თანაგუნდელებს შეუერთდებოდა. ჯერჯერობით, გაურკვეველია ჩემპიონთა ლიგის მატჩებისთვის გაძლიერდება თუ არა „დინამო" რკინიგზელი სირაძით და ლომაიათი. რუიტში „დინამოს" თავკაცებმა შეიძლება რამდენიმე უცხოელი ფეხბურთელიც შეამოწმონ. ესენი არიან რუსეთში მობურთალი სერბი ლაკიჩი და სლოვაკი კოვაჩი, გერმანიის 20-დღიან შეკრებაზე გუნდი რამდენიმე ამხანაგური მატჩის გამართვას გეგმავს.

29 ივნისს, ჩვენი ჩემპიონის მეტოქენი რეგიონული ლიგის გუნდები იქნებიან. 1 ივლისს - ავსტრიული კლუბი, 5 ივლისს სერიოზული მეტოქე ეყოლებათ ჩვენებურთ. ბუნდესლიგის „მიუნხენ-1860", რომელსაც ძირითადი შემადგენლობით უნდა ეთამაშონ ქართველები. 6 და 10 ივლისს მეტოქედ ისევ მოყვარულები იქნებიან, 8 ივლისს „ულმას" შეხვდებიან. 12 ივლისს კი თბილისში დაბრუნდებიან და ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩისთვის მოემზადებიან „ტირანასთან" საპაექროდ. „დინამოს" გერმანული შემადგენლობა, შარშანდელთან შედარებით, ბევრად არ შეცვლილა, ძირითადი ბირთვი შენარჩუნებულია:

**მეკარეები:** დავით გვარამაძე, ირაკლი ზოიძე, ზურაბ მამალაძე.

**მცველები:** კარლოსი, ოთარ ხიზანეიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, მამუკა წერეთელი, ილია კანდელაკი;

**ნახევარმცველები:** ზურაბ ექონია, ალექსანდრე გოგობერიშვილი, დავით კვირკველია, არჩილ სახვაძე, გიორგი ანჩაბაძე, ლადო ბურდული, ვიტალი დარასელია;

**თავდამსხმელები:** ლადო ახალაია, მიხეილ ბობოხიძე, ირაკლი სამხარაძე, ალექსანდრე იაშვილი, რატი ალექსიძე.



# მილოცვა



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი და საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავენ ვეტერან ფეხბურთელს, მრავალი თაობის აღმზრდელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს **გიორგი სვიმონიშვილს.**

# ისევ ჩამოვქვეითდით

Coca-Cola WORLD RANKING FIFA

ფიფა — კოკა-კოლას სანაკრებო რეიტინგში ირლანდიელებთან მარცხმა საქართველოს ეროვნული ნაკრები ისევ უკან დასწია. ივნისის მონაცემებით, ქართველთა ეროვნული გუნდი რეიტინგში 86-ე ადგილზეა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეები რანგის მიხედვით, ასე განლაგდნენ: ირლანდია — მე-14, რუსეთი — 30-ე, შვეიცარია — მე-40, ალბანეთი — 88-ე.

# საკლუბო სამზადისი

**ახალ სეზონს ყველა კლუბი ოპტიმისტურად და გარკვეული ამბიციით იწყებს. გამონაკლისი არც გორის „დილაა". მატერიალურად წელგამართული გუნდი მწვრთნელებმა 20 ივნისს შეკრიბეს და ახალი სეზონისთვის მზადებაც დაიწყეს. 3 ივლისიდან, ორი კვირით, გორელები დილას ბაკურიანში გაითენებენ. კლუბის შარშანდელი შემადგენლობა გვარიანად შეიცვალა. იჯარით აყვანილ ფეხბურთელთა უმეტესობა ძველ გუნდებს დაუბრუნდა. თუმცა მწვრთნელები გუნდის შევსებას სხვა ძლიერი ფეხბურთელით გეგმავენ და ზედა ექვსეულში შესვლის ეიმედებათ.**

**XXX**

**სახელ შეცვლილმა „მერანი-ოლიმპმა", რომელსაც კლუბის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, ამიერიდან, „თბილისი" ჰქვია, მომავალი სეზონისთვის მზადება კარგახანია დაიწყო. გუნდში 24 ფეხბურთელია, თუმცა შერჩევის პროცესი უკვე მიმდინარეობს და მოსამზადებელი ეტაპის ბოლოს კლუბში, ალბათ, 18-20 ფეხბურთელი დარჩება. მთავარმა მწვრთნელმა თემურ ლორთქიფანიძემ გუნდი ათდღიან შეკრებაზე ქობულეთში წაიყვანა, სადაც წვრთნასთან ერთად საკონტროლო მატჩებსაც გამართავს. ჩემპიონატის დაწყებამდე „თბილისი" ბოლო ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გერმანიაში გაივლის.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვთა ფეხბურთი

## გურამ ფანჯიკიძე ჭაბუკ ფეხბურთელთა ხსოვნაში

ტრადიციად დამკვიდრდა ცნობილი ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწის, ფეხბურთის დიდი ქომაგის და გულშემატკივრის გურამ ფანჯიკიძის ხსოვნის მემორიალური ტურნირი, რომელიც ამჯერად „გეორგიას" საფეხბურთო მოედანზე გაიმართა. ტურნირში მონაწილეობდა ნორჩ ფეხბურთელთა 16 გუნდი. ფინალურ ჯგუფში გავიდნენ „დინამოს" სამი და „ლოკომოტივის" ერთი კოლექტივი. მესამე ადგილებისათვის ერთმანეთს შეხვდნენ „დინამო 2" (მწვრთ. ბლიაძე) და „დინამო 3" (მწვრთ. მ. პირადაშვილი). მატჩის ძირითადი დრო დასრულდა ფრედ (2-2). მესამე პრიზიორი გაირკვა თერთმეტმეტრიანების სერიაში - 6:5 გაიმარჯვა „დინამო" 2-მა.

პირველი ადგილისათვის ბრძოლაში „დინამო" 1-მა (მწ. გ. სილაგავა) აჯობა „ლოკომოტივს" (თ. მაისურაძე) — 3-2. გამოვლინდნენ საუკეთესო ფეხბურთელები: მეკარე ირაკლი შენგელია („დინამო"2); მცველი — გიორგი მელიქიშვილი („დინამო"1); ნახევარმცველი — სულხან ნეფარიძე („დინამო"1); თავდამსხმელი — ნიკო ლვაბერიძე („დინამო"3); ბომბარდირი — ალეკო გოდერძიშვილი (20 ბურთი „ლოკომოტივი"); აქტიური ფეხბურთელი ავთო პავლიაშვილი („ლოკომოტივი"); საუკეთესო ფეხბურთელი — ლევან სარდანაშვილი !„დინამო").

მაყურებლის სიმპატიის პრიზი დაიმსახურა გიორგი აბდუშელიშვილმა („დინამო 1"). საუკეთესო მწვრთნელისათვის განკუთვნილი პრიზები გადაეცათ: ელგუჯა სილაგავას და თამაზ მაისურაძეს.

ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ქ. ლექავა და მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი თ. გეგუჩაძე. მათ დიდი მადლობა გადაუხადეს გურამ ფანჯიკიძის ნამდვილ მეგობრებს, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომლებმაც ფინანსური დახმარება გაუწიეს ტურნირს.

***სურათზე - „დინამო 1":*** გიორგი მეტრეველი, გიორგი რთველიძე, ირაკლი კობიაშვილი, სულხან ნეფარიძე, ლაშა კერესელიძე, გიორგი მელიქიშვილი, გიგი ბაშალეიშვილი, გიორგი აფციაური, ლევან კალანდაძე; ილია მაისურაძე, გიორგი ქოქაშვილი, გიორგი ხუბულური, დავით ასლამაძე, გიგა კერესელიძე, აჩიკო ნაჭყებია, ოთარი ახალკაციშვილი, ვანო ინასარიძე, რევაზი ბერუაშვილი, **მწვრთნელები:** ელგუჯა სილაგავა (მარცხნივ), ლაშა სილაგავა (მარჯვნივ), სურათზე არ არიან გუნდის წევრები: ნიკა ოდიშელიძე, ლევან კაკაბაძე, ლადო დოლიძე, ირაკლი მჭედლიძე, ლევან სარდინაშვილი.



„დინამო 1"





„ლოკომოტივი"

## ვიტალი დარასელიას ხსოვნის პრიზზე

ვიტალი დარასელიას ხსოვნის ტურნირში თბილისის 16 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში „შევარდენი 1906"-მა (მწვრთნელი ვაჟა ხუბეჯიშვილი, კლუბის პრეზიდენტი მალხაზ გუგავა) მოუგო „ოლიმპიკს" (მწვრთნელი ლევან მელიქია, კლუბის პრეზიდენტი კარლო მჭედლიძე) — 2-0. ბურთები გაიტანეს გუნდის კაპიტანმა გიორგი ტიკურიშვილმა და ვიტალი ქართლელიშვილმა, საუკეთესო მეკარედ დასახელდა პავლე ოთარაშვილი, თავდამსხმელად — ვიტალი ქართლელიშვილი (ორივე — „შევარდენი 1906").

**სურათზე:** მარცხნიდან — I რიგში: ნოდარ დოხნაძე, გიორგი სტურუა, ლაშა კუბეცია, ლევან ქავთარაძე, გიგა მინდილაია, გიორგი ტიკურიშვილი, ვიტალი ქართლელიშვილი, ლევან ოშხერელი, გოდერძი ხაჩიძე, ედმუნდ ჯანაშვილი, მარლენ მანდარია, დავით ხაბეიშვილი; II რიგში: ვიტალი დარასელია, „შევარდენი 1906"-ის ვიცე-პრეზიდენტი ანზორ მანწკავა, ლევან ჩოჩია, გურამ ნაოენაძე, აკაკი ტეტუნაშვილი, ლაშა სიგუნავა, ვალიკო ქაჯაია, პავლე ოთარაშვილი, დათა ბარკალაია, გიორგი ფერცულიანი, გიორგი ფაილოძე; გუნდის ექიმი მამია ფხაკაძე, „შევარდენი-1906"-ის პრეზიდენტი მალხაზ გუგავა, გუნდის მწვრთნელი ვაჟა ხუბეჯაშვილი.



**დამთავრდა ვაჟა არქანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი 1995 წელს დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა მონაწილეობით. პირველი ადგილი წილად ხვდა საფეხბურთო სკოლა „მორკინალის" გუნდს (მწვრთნელი მერაბ მელაშვილი), მეორე ადგილი „ავაზამ" დაიკავა. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა რატი ცაბაძე, საუკეთესო მეკარედ - ბექა ჩოკოშვილი (ორივე - „მორკინალი").**





გამოიწერეთ
ლელო
2003 წლის
წლის მეორე
ნახევრისათვის!

### წიგნის თარო

## და კიდევ ორი წიგნი



ქართული სპორტული, კერძოდ, საფეხბურთო ლიტერატურა კიდევ ორი ჩინებული წიგნით გამდიდრდა. სამზეოზე გამოვიდა ქართული ფეხბურთის უპირველესი გუნდის თბილისის „დინამოს" ცნობარი, რომლის ავტორია ცნობილი ვეტერანი ჟურნალისტი გარუნ აკოფოვი. მასში ციფრების ენითაა მოთხრობილი „დინამოს" მთელი ისტორია, დასაბამიდან დღემდე. „წიგნში გამოქვეყნებულ მასალებს 50 წელი ვაგროვებდი, გამოცემას კი ერთი თვე დასჭირდა, მადლობა ყველას, ვინც ხელი შემიწყო ამ ემოციით დატვირთული ნაშრომის დასტამბვაში" — განაცხადა წიგნის ავტორმა.

მეორე წიგნი -- „ვლადიმერ ბარქაია", არაერთი შესანიშნავი სპორტული წიგნის ავტორის დემიკო ლოლაძის კალამს ეკუთვნის, მასში სრულყოფილადაა ასახული ქართული ფეხბურთის ვარსკვლავის ვლადიმერ ბარქაიას ცხოვრება და მოღვაწეობა, შესანიშნავი ფეხბურთელის სპორტული კარიერა და მისი განუმეორებელი ოსტატობის გაუხუნარი ეპიზოდები. ორივე წიგნი გამოირჩევა ბეჭდვის მაღალი პოლიგრაფიული დონით, უხვადაა ილუსტრირებული ქართული ფეხბურთის მდიდარი ისტორიის ამსახველი ფოტოებით და შესანიშნავი საჩუქარია გულშემატკივრებისათვის, მკითხველთა ფართო წრისთვის.

**P.S. ერთიც უნდა ვთქვათ. ამ წიგნებისადმი და მათი ავტორებისადმი, გუშინ მაღაზია „პარნასში" დათქმული პრეზენტაციის ორგანიზატორებს მეტი ყურადღება და პატივისცემა მართებდათ.**







### თქვენთვის, ერუდიტებო!

***1) სად თამაშობდნენ ფეხბურთს სულ პირველად თბილისში?***

ა) საბურთალოზე
ბ) დიდუბეში, იპოდრომზე
გ) დეზერტირის ბაზრის ტერიტორიაზე

***2) დაასახელეთ სპორტსაზოგადოება, რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა ფეხბურთის სექცია თბილისში***

ა) „სოკოლი"
ბ) „ამირანი"
გ) „შევარდენი"

***3) ვინ იყო ის კაპიტალისტი, რომელმაც თბილისში თავისი კუთვნილი ტერიტორია დათმო ფეხბურთის მოედნის მოსაწყობად?***

ა) არამიანცი
ბ) ფრიდონოვი
გ) სარაჯიშვილი

***4) როდის და ვისთან გაიმართა პირველი საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში თბილისში?***

ა) 1910 წელს, ბერძნებთან
ბ) 1911 წელს, გერმანელებთან
გ) 1912 წელს, ინგლისელებთან

**5) რომელ წელს შეხვდა ხარკოვის ფეხბურთელთა გუნდი თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდს?**

ა) 1924 წელს
ბ) 1925 წელს
გ) 1926 წელს

**პასუხები იხ. „ლელოს" შემდეგ ნომერში**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქალის თეთრეულის მაღაზიიდან „ბარსელონამდე“

ცნობილია, რომ ესპანურმა „ბარსელონამ" აწ უკვე გასული სეზონი მეტად მძიმედ დაიწყო. კატალონიელთა სატურნირო ცხრილში დაღმასვლა, იანვარში, მთავარი მწვრთნელის ლუი ვან გაალის გათავისუფლებით დასრულდა. მისმა მემკვიდრემ რადომირ ანტიჩმა შეძლო ის, რაც ყველას შეუძლებლად ეჩვენებოდა: მეორე წრეში „ბარსელონამ" სიტუაცია გამოასწორა. ის კი არა, იმდენი მოახერხა, რომ მეექვსე ადგილზე გავიდა და უეფას თასის გათამაშებაში თამაშის უფლება მოიპოვა.



ყველა მოელოდა, რომ ანტიჩის მუშაობას დადებითად შეაფასებდნენ, მაგრამ ადამიანი, რომლის ხელმძღვანელობით მადრიდის „ატლეტიკომ" 1996 წელს „ოქროს დუბლი" შეასრულა, კატალონიურ კლუბს მოაშორეს.

„ბარსელონას" ხელმძღვანელობა ისევ „ჰოლანდიური" გზით წავიდა. მთავარი მწვრთნელის პოსტი ფრანკ რაიკაარდის „უბოძეს", რომლის სამწვრთნელო მოღვაწეობის პიკად შეიძლება ჩაითვალოს მისი მუშაობა ჰოლანდიის ნაკრებთან ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე. თუ რატომ გადადგა „ბარსელონას" ხელმძღვანელობამ ასეთი ნაბიჯი, სრულიად გასაგებია. ამ კლუბის ბოლოდროინდელი წარმატებები უკავშირდება რინუს მიჰელსს, იოჰან კრუიფს და ლუი ვან გაალს. კატალონიური კლუბი ლამის ჰოლანდიის ნაკრების „ფილიალად" იყო გადაქცეული.

რაიკაარდის გარდა, მთავარი მწვრთნელის პოსტის კანდიდატები იყვნენ დანიელ ლაუდრუპი, კუმანი ჰიდინკთან ერთად, ზოგიერთი საინფორმაციო წყარო მარკო ვან ბასტენსაც ასახელებდა. საბოლოოდ არჩევანი რაიკაარდზე შეჩერდა.

როგორც მოთამაშე, ფრანკ რაიკაარდს მკითხველთა წინაშე წარდგენა არ სჭირდება. ყველას კარგად ახსოვს ევროპის 1988 წლის ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ბრწყინვალე ტრიო რაიკაარდის, გულიტისა და მარკო ვან ბასტენის შემადგენლობით. სწორედ მათ შეძლეს საბჭოთა ნაკრების დამარცხება ფინალში. ეს ტრიო ამშვენებდა „აიაქსს" და „მილანს". თავისი სპორტული კარიერის ბოლო მატჩი მან „აიაქსის" შემადგენლობაში ჩატარა ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანის" წინააღმდეგ. ამ შეხვედრაში, მან საგოლე გადაცემა გააკეთა: მისი მიწოდების შემდეგ პატრიკ კლუივერტმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის მატჩში გერმანელებთან, რაიკაარდმა ისე მოხდენილად შეაფურთხა რუდი ფიოლერს, რომ ხალხმა მას „შამპუნი რაიკაარდი" შეარქვა.

საფეხბურთო კარიერის დასრულებისთანავე, ბევრისთვის მოულოდნელად, რაიკაარდმა ქალის თეთრეულის მაღაზია გახსნა, ამით არ დაკმაყოფილდა და ცოტა ხანში... ჰოლანდიის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის საშინაო ფინალურ ეტაპზე (ამ ტურნირს ბელგია და ჰოლანდია ერთად მასპინძლობდნენ) რაიკაარდის ჰოლანდიის ნაკრებმა დაამარცხა ჩეხეთის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის ნაკრებები, ნახევარფინალში კი „სკუადრა აძურასთან" დამარცხდა. პენალტების სერიაში რაიკაარდმა კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ლუი ვან გაალს დაუთმო. სამწვრთნელო საქმიანობას რაიკაარდი 2001 წელს დაუბრუნდა. სათავეში ჩაუდგა როტერდამის „სპარტას"... შედეგი? — გუნდი გამოეთხოვა ჰოლანდიის უმაღლეს ეშელონს. გადის ორი წელი და... რაიკაარდს „ბარსელონა" ანდეს.

ვნახოთ, რა შედეგებს მოუტანს რაიკაარდი კატალონიურ კლუბს, რომელსაც ძველი დიდების დაბრუნება სწადია.

გთავაზობთ ფრანკ რაიკაარდის **სავიზიტო ბარათს: დაიბადა 1962 წლის 30 სექტემბერს. თამაშობდა „აიაქსში“ (1980-1988, 1993-1995), „სარაგოსაში“ (1988) და „მილანში“ (1988-1993). 5-ჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი (1981-82 წწ, 1982-83, 1984-85, 1993-94, 1994-95). სამჯერ დაეუფლა ჰოლანდიის თასს (1983, 1986, 1987). ორჯერ იყო იტალიის სერია „ა“-ს ჩემპიონი: (1991-92, 1992-93 წწ).**

**ორჯერ ფლობდა იტალიის სუპერთასს (1989, 1992), 3-ჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი (1989, 1990, 1995), ერთხელ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი 1987წ., ორჯერ — ევროპის სუპერთასი (1989, 1990). ორჯერ — საკონტინენტთაშორისო თასი (1989, 1990)**

**ჰოლანდიის ნაკრებში ჩაატარა 73 მატჩი, გაიტანა 10 გოლი. 1988 წელს გახდა ევროპის ჩემპიონი.**

## „რეალს“ კეიროში გაწვრთნის

მადრიდის „რეალის" მთავარ მწვრთნელად პორტუგალიელი კარლუშ კეიროში დანიშნეს. მისი კონტრაქტი 2 წლით განისაზღვრა.

კეიროში აქამდე „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელად მუშაობდა და ამ გუნდის ჩემპიონობაში მას დიდი წვლილი მიუძღვის. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს მანჩესტერელთა თავკაცი ალექს ფერგიუსონი.

„როცა „არსენალს" საკმაოდ ჩამოვრჩებოდით და ჩემპიონობა გვეეჭვებოდა, სწორედ კეიროში გამოვიდა ინიციატივით, ყოველი მატჩის წინ ჩატარებულიყო შეკრება. ეს მეთოდი, მართალია, არა პოპულარულია, მაგრამ ეფექტური გამოდგა. მისი წყალობით, „მანჩესტერ იუნაიტედმა" სეზონის დასკვნითი ნაწილი მეტად ძლიერად ჩაატარა. „არსენალთან" მატჩის წინ სწორედ კეიროშმა დამარწმუნა, რომ მოედანზე ვილტორის ნაცვლად ბერხკამპის ყოფნა იყო საჭირო. მე დავუჯერე მას და ტაქტიკა შევცვალე. აკი, გავიმარჯვეთ კიდეც", — ამბობს ალექს ფერგიუსონი.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ კეიროში მოაგვარებს თანამემამულე ფიგუს პრობლემას „რეალში" ბექჰემის მოსვლასთან დაკავშირებით და შეძლებს მათ ურთიერთშემათანხმებელი სათამაშო ტაქტიკის დანერგვას.

**აი როგორ გამოიყურება კარლუშ კეიროშის სავიზიტო ბარათი:**

დაიბადა 1953 წლის 1 მარტს მოზამბიკში.

სამწვრთნელო კარიერა გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს დაიწყო. მუშაობდა პორტუგალიის ახალგაზრდულ ნაკრებთან, სწორედ მის ხელში „გაიარეს" ისეთმა ვარსკვლავებმა, როგორებიც არიან ფიგუ, ჟოან პინტუ, ფერნანდო კოუტუ, პაულე სოუზა. მიაღწია რა წარმატებებს ახალგაზრდულ ნაკრებებთან ერთად, მას მალე პორტუგალიის ძირითადი ნაკრებიც ანდეს. 1991 წლიდან ხელმძღვანელობდა ლისაბონის „სპორტინგს", მუშაობდა აგრეთვე „ნიუ-იორკ მეტროსტარზში" (აშშ) და „ნაგოია გრამუს ეისში" (იაპონია). 1999 წელს სათავეში ედგა არაბეთის გაერთიანებული ემირატების ნაკრებს, ხოლო 2000-2002 წლებში, — სამხრეთ აფრიკის გუნდს. ეს უკანასკნელი მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა, თუმცა იაპონიასა და სამხრეთ კორეაში გამგზავრების წინ სამხრეთ-აფრიკის ფეხბურთის ფედერაციასთან უთანხმოების გამო მოხსნეს. 2002 წლიდან „მანჩესტერ იუნაიტედში" მოღვაწეობდა, 25 ივნისიდან კი ესპანური სამეფო კლუბის თავკაცად მოგვევლინა.



## დელ ბოსკე: „იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ხელს ვუშლიდი“...

***მკითხველებისათვის ალბათ საინტერესო იქნება მადრიდის „რეალის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელის ვისენტე დელ ბოსკეს მიერ ესპანური რადიო „კადენა სერიისათვის“ მიცემული ინტერვიუ.***

● ***მოელოდით, რომ გაგათავისუფლებდნენ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან?***

— ეს დაახლოებით ოცი დღით ადრე ვიგრძენი. მანამდე, კი, ხელმძღვანელობას ჩემდამი უკმაყოფილება არ გამოუთქვამს.

● ***ეწინააღმდეგებოდით კლუბის პრეზიდენტს რაიმე საკითხებში?***

— არა, ისიც არ ვიცი, თუ რატომ მიიღო მან ასეთი გადაწყვეტილება. როცა ფლორენტინო პერესს თვენახევრის წინ ვესაუბრე, მაშინ „რეალი" მეორე ადგილზე მყოფ გუნდი ექვსი ქულით ჩამორჩებოდა...

● ***ახლა რა გრძნობა გეუფლებათ?***

— ვხვდები, რომ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მე ხელს ვუშლიდი, ისიც ვიცი, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ვერ იტყვიან იმას, რომ ასეთი გადაწყვეტილება „რეალს" უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს. ჩემი ხელმძღვანელობის დროს, გუნდში დისციპლინა იყო. სათამაშო სისტემა კარგად მუშაობდა, ფეხბურთელები ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ.

● ***შემოგთავაზეს კლუბში დარჩენა სხვა თანამდებობაზე?***

— სპორტულ დირექციაში მუშაობა ნამდვილად არ მინდოდა, ეს ხმამაღლა განვაცხადე კიდეც, არ მსურს „ჩრდილში" ყოფნა.

● ***ახლა რას აპირებთ? ერთი წლით დაისვენებთ?***



— არა. დასვენება არ მჭირდება. ვცდილობ სამუშაო ვიშოვო.

● ***ბევრი ფიქრობს, რომ თქვენი „რეალიდან“ დათხოვნა გადაწყდა ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ „იუვენტუსთან“.***

— შეიძლება, მაგრამ ჩემპიონთა ლიგიდან „რეალის" გამოვარდნაში დამნაშავე მარტო მე არ ვყოფილვარ.

## ბრაზილიურ-არგენტინული ფინალი

**ლიბერტადორესის თასის გათამაშების ბრაზილიურ-არგენტინული ფინალი კლასიკურად ითვლება და ეს გასაგებიცაა: სამხრეთ ამერიკაში ყველაზე მაღალი დონის საფეხბურთო ჩემპიონატები სწორედ ბრაზილიასა და არგენტინაში ტარდება. ამიტომ ხშირად ამ ორი ქვეყნის წარმომადგენელ გუნდებს შორის ირკვევა ლიბერტადორესის თასის მფლობელის ვინაობა. გამონაკლისი არც წლევანდელი ფინალი ყოფილა - ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ფეხბურთის ლეგენდების - პელესა და დიეგო მარადონას ყოფილი გუნდები: ბრაზილიური „სანტოსი“ და არგენტინული „ბოკა ხუნიორსი“.**

**პირველი მატჩი ბუენოს აირესში გაიმართა. ცხადია, არგენტინელებს მხოლოდ გამარჯვება სურდათ, თანაც ის, რომ ბურთების სოლიდური მარაგი შეექმნათ საპასუხო მატჩისათვის, „ბოკა ხუნიორს“ უკვე ოთხჯერ აქვს მოგებული ლიბერტადორესის თასი და ახლა მეხუთე ზეიმს გეგმავს. პირველი ფინალური მატჩის შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არგენტინელები მიზანთან ახლოს არიან. მარადონას ყოფილმა გუნდმა 2-0 გაიმარჯვა. ორივე გოლის ავტორი მარსელი დელგადოა. გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ:**

**„ბოკა ხუნიორსი“: რობერტო აბონდანჩიერი, უგო იბარა, როლანდო სკიავი, ნიკოლას ბურდისო, კლემენტე როდრიგესი, სებასტიან ბატალია, დიეგო კანია (ფრანკო კანიელე 90), რაულ კასკინი, მარსელო დელგადო, კარლოს ტევესი გილერმო, ბაროს სკელოტო (ხავიერ ვილიარეალი, 58).**

**„სანტოსი“: ფაბიო კოსტა, რეჟინალდო, არაუჟუ, პერეირა (ანდრე ლუიში, 46), ალექსი, ლეო, პაულუ ალმეიდა, რენატო, დიეგო, ფაბიანო (ნენე), რობინიო, რიკარდო ოლივეირა.**

**განმეორებითი მატჩი 2 ივლისს ბრაზილიაში გაიმართება.**



## სიმენი: „არსენალი“ შეცდა, რომ გამყიდა...

გოლკიპერმა დევიდ სიმენმა „არსენალის" ხელმძღვანელობის მიერ მისი „მანჩესტერ იუნაიტედის" მიყიდვა შეცდომად მიიჩნია.

„გასულ სეზონში ძალიან კარგად ვითამაშე. მე მომავალ სეზონშიც დავამტკიცებ, რომ თამაში მაღალ დონეზე შემიძლია და „არსენალის" ხელმძღვანელები აშკარად შეცდნენ ჩემი გაყიდვით", — განაცხადა სიმენმა.

შეგახსენებთ, რომ სიმენი 13 წლის განმავლობაში წარმატებით იცავდა ლონდონის „არსენალის" კარს. მის მიერ ნათამაშევ მატჩთა რაოდენობამ უკვე 1000-ს გადააჭარბა.

## წაგება ჩაუთვალეს

ბელგრადის საფეხბურთო კლუბ „ბელგრადს", ინტერტოტოს თასის გათამაშების პირველ მატჩში უეფამ წაგება ჩაუთვალა ანგარიშით 0-3, არადა, ამ შეხვედრაში ბელგრადელებმა 6-1 გაანადგურეს ესტონური „ტრანს ნარვა".

უეფას სანქციის მიზეზი გახდა სტადიონის ტრიბუნიდან მავანი ვაიგულშემატკივრის მიერ ნასროლი ცრემლსადენი გაზის გამოფრქვეული მაშხალა, რის გამოც მატჩი 83 წუთის განმავლობაში შეწყდა.

„ბელგრადის" ხელმძღვანელობა მომხდარ ფაქტში ადანაშაულებს კონკურენტ კლუბის „რადის" გულშემატკივრებს.

„ჩვენ გვქონდა წინასწარ ინფორმაცია „რადის" გულშემატკივრების განზრახვის თაობაზე, ვაცნობეთ კიდეც ეს პოლიციას და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას, მაგრამ მოედნის გარეთ სრული კონტროლი ვერ დავიცავით", — განაცხადა „ბელგრადის" დირექტორმა ზორან ტერზიჩმა.

### ერაყელმა ფეხბურთელებმა ამერიკელი სამხედროები გაანადგურეს

ციხიდან განთავისუფლებულმა ერაყის ნაკრების ფეხბურთელებმა ამხანაგურ მატჩში — 11-0 გაანადგურეს აშშ-ს სამხედროების გუნდი.

მატჩი ბაღდადის ეროვნულ სტადიონზე ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარდა, რადგან ამერიკელმა სამხედროებმა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ერაყელი გულშემატკივრები სტადიონზე არ დაუშვეს.

### „ვალენსია“ მზად არის, აიმარი 25 მილიონად გაყიდოს

როგორც იქნა, ესპანურმა საფეხბურთო კლუბმა „ვალენსიამ" გასაყიდი ფასი დაადო წამყვან ფეხბურთელს პაბლო აიმარს. ეს ფეხბურთელი მხოლოდ 25 მილიონ ევროდ თუ გაიყიდება. 23 წლის აიმარით დაინტერესებულია „ბარსელონა".

## რაული საუკეთესოა



ესპანეთის საფეხბურთო სეზონის დასრულების შემდეგ, ტრადიციისამებრ, ჩატარდა გამოკითხვა ესპანეთის 20 წამყვანი კლუბის მწვრთნელს შორის ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელსა და კოლეგის გამოსავლენად.

ესპანეთის საუკეთესო ფეხბურთელად „რეალის" მოთამაშე რაული დაასახელეს, ხოლო ამ უკანასკნელის თანაგუნდელი ზინედინ ზიდანი — საუკეთესო უცხოელად.

სეზონის „აღმოჩენად" მიიჩნიეს „რეალ სოსიედადის" 21 წლის მოთამაშე ხაბი ალონსო, ხოლო ამავე გუნდის თავკაცი რეინალდ დენუესი — საუკეთესო მწვრთნელად.

საინტერესოა, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა რუუდ ვან ნისტელროი („მანჩესტერ იუნაიტედი").

# „ფორმულა 1"-ის მომავალი სეზონის კალენდარი

ავტოსპორტის საერთაშორისო საბჭომ დაადგინა „ფორმულა 1"-ის მსოფლიოს მომავალი, 2004 წლის ჩემპიონატის კალენდარი. მისი საბოლოო ვარიანტი მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს გამოქვეყნდება, ვინაიდან არ არის გამორიცხული „სან-მარინოს გრან-პრი" „ბაჰრეინის გრან-პრიმ" შეცვალოს.

აი, როგორ გამოიყურება „ფორმულა 1"-ის მომავალი სეზონის კალენდარი:

**2004 წელი**

**7 მარტი** — ავსტრალიის „გრან-პრი"
**21 მარტი** — მალაიზიის „გრან-პრი"
**4 აპრილი** — ბრაზილიის „გრან-პრი"
**25 აპრილი** — ბაჰრეინის ან სან-მარინოს „გრან-პრი"
**9 მაისი** — ესპანეთის „გრან-პრი"
**23 მაისი** — მონაკოს „გრან-პრი"
**6 ივნისი** — კანადის „გრან-პრი"
**20 ივნისი** — ევროპის „გრან-პრი"
**4 ივლისი** — საფრანგეთის „გრან-პრი"
**11 ივლისი** — დიდი ბრიტანეთის „გრან-პრი"
**25 ივლისი** — გერმანიის „გრან-პრი"
**15 აგვისტო** — უნგრეთის „გრან-პრი"
**29 აგვისტო** — ბელგიის „გრან-პრი"
**12 სექტემბერს** — იტალიის „გრან-პრი"
**26 სექტემბერი** — აშშ-ს „გრან-პრი"
**10 ოქტომბერი** — ჩინეთის „გრან-პრი"
**24 ოქტომბერი** — იაპონიის „გრან-პრი".



# ვიტალი კლიჩკოს 60 ნაკერი დაადეს

**ლენოქს ლიუისთან ბრძოლის შემდეგ უკრაინელ მოკრივეს ვიტალი კლიჩკოს ექიმებმა 60 ნაკერი (!) დაადეს სახის ოთხ ჭრილობაზე. ამის შესახებ განაცხადა კალიფორნიის ქირურგმა პერლმენ ჰიკსმა. შეგახსენებთ, რომ ამ ჭრილობების გამო კლიჩკოს ლიუისთან ბრძოლა შეაწყვეტინეს მაშინ, როცა იგი ქულებით 58:56 იგებდა. გამარჯვება ბრიტანელს მიეკუთვნა, კლიჩკო კი საავადმყოფოში გააქანეს.**

**ქირურგ ჰიკსის თქმით, კლიჩკოს ჭრილობები 60-90 დღეში მოუშუშდება. „უმჯობესი იქნება, უკრაინელი მოკრივე რინგს არ გაეკაროს უახლოესი 6 თვის განმავლობაში," — ამბობს ჰიკსი.**

**თავად ვიტალი კლიჩკოს კი ლიუისთან მატჩი-რევანშის ჩატარება სწყურია. ის აპირებს ამ თხოვნით მიმართოს კრივის საერთაშორისო საბჭოს (ვბც), თუმცა მატჩრევანშის საკითხი მაინც ლიუისზეა დამოკიდებული.**



# ინდოეთის „გრან-პრი" „ფორმულა 1"-ში

**„ფორმულა-1"-ის დირექტორმა ბერნი ეკლსტოუნმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ინდოეთმა შესაძლოა მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპის მასპინძლობის უფლება მიიღოს. ეკლსტოუნის თქმით, ინდოეთის ტრასებისადმი ინტერესი ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა. „ფორმულა 1"-ისათვის ტრასის აგება შეიძლება ორ ქალაქში — ბენგალორსა ან გიდერაბადში, სადაც უკვე იმყოფებოდა „ფორმულა-1"-ის ტრასების მთავარი მაპროექტებელი გერმან ტილკე.**

# ჰოლიფილდი ჯეიმს სტოუნს 4 ოქტომბერს შეხვდება

ცნობილი მოკრივის ევანდერ ჰოლიფილდის პრომოუტერებმა განაცხადეს, რომ მათი შეგირდი მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს შეხვდება იბფ-ს ვერსიით ნახევრადმძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონს ჯეიმს სტოუნს. საინტერესოა, რომ აქამდე ჰოლიფილდს ვბას ვერსიით მსოფლიო ჩემპიონთან როი ჯონსთან მატჩი ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც როისთან გამართული მოლაპარაკებები ჩიხში მოემწყვდა, ევანდერმა გადაწყვიტა სტოუნთან შებმა.

ჰოლიფილდმა თავისი უკანასკნელი ბრძოლა დეკემბერში ჩაატარა, როცა იბფ-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მას კრის ბერდმა ჩამოართვა.

# უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირზე



გრძელდება უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირი. ქალთა შეჯიბრების საპრიზო ფონდი 9 მილიონ 373 ათას 990 ფუნტი სტერლინგია. მეორე წრეში მეორე ნომრად განთესილმა ბელგიელმა კიმ კლისტერსმა 6:1, 6:3 დაამარცხა ფრანგი ვირჟინი რაზანო. ასეთივე ანგარიშით ამერიკელმა ლინდსეი დევენპორტმა იტალიურ რიტა გრანდეს სძლია.

ტურნირს გამოეთიშა ამანდა კოეტცერი, რომელიც სამ სეტში დამარცხდა იტალიელ ფრანჩესკა სკიავონესთან.

გაგაცნობთ ზოგიერთ სხვა საინტერესო მატჩების შედეგებს: ვენუს უილიამსი (აშშ) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:4, 6:1, ჩანდა რუბინი (აშშ) — ემი ფრეიზერი (აშშ) 6:4, 6:4. პაოლა სუარესი (არგენტინა) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 2:6, 6:3, 6:3, აი სუგიამა (იაპონია) — ევა ფიშლოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:7 (6:8) 7:5.

ვაჟთა ტურნირის პირველი წრის მატჩებიდან ყველაზე დრამატული გამოდგა შეხვედრა ფრანგ სებასტიან გროჟანსა და შვედ ტომას ენქვისტს შორის. გამარჯვებული ოთხ პარტიაში გაირკვა. გაიმარჯვა ფრანგმა ჩოგბურთელმა 4:6, 6:3, 6:4, 7:6 (7:4).

მეორე წრეში ამერიკელმა ტოდ მარტინმა 7:6 (7:4), 6:4, 6:4 დაამარცხა გუსტავო კუერტენი (ბრაზილია).

მეოთხე ნომრად განთესილმა შვეიცარიელმა როჯე ფედერერმა 7:5, 6:1, 6:1 სძლია ავსტრიელ შტეფან კუბეკს.

# საბონისი ლიტვის ნაკრებში ითამაშებს



ცნობილია, რომ სექტემბერში გაიმართება კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი. ლიტვის ნაკრების შემადგენლობაში თამაშის სურვილი გამოთქვა საბჭოთა კალათბურთის ვარსკვლავმა არვიდას საბონისმა, რომელიც ბოლო პერიოდში ნბა-ს კლუბ „პორტლენდში" ასპარეზობდა.

საბონისს ახლახან ჰქონდა შეხვედრა ლიტვის პრემიერ-მინისტრთან ალგირდას ბრაზაუსკასთან, ვისთანაც ერთად განიხილა მისი თამაშის საკითხი ლიტვის ნაკრების შემადგენლობაში.

# ტიხონოვი რუსეთის ნაკრებს უხელმძღვანელებს

გუშინ რუსეთის ჰოკეის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ქვეყნის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნა ცნობილი სპეციალისტი ვიქტორ ტიხონოვი, რომელიც 70-იან წლებში ჰოკეისტთა საბჭოთა ნაკრებს ხელმძღვანელობდა.

ტიხონოვის ხელმძღვანელობით საბჭოთა ნაკრებმა 1978-83, 1986, 1989 და 1990 წლებში მსოფლიო ჩემპიონატები მოიგო, 11-ჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი, ორჯერ (1984 და 1988 წწ) — ოლიმპიური ჩემპიონი.

1981 წელს ტიხონოვმა და მისმა შეგირდებმა ბრწყინვალე სტილში გაიმარჯვეს კანადის თასის გათამაშებაში.

რუსეთის ჰოკეის ფედერაციის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ტიხონოვი ქვეყნის ნაკრებს ძველ დიდებას დაუბრუნებს.

# ჰოკეის ვარსკვლავთა მაისურებს იტაცებენ

ნჰლ-ის ხელმძღვანელობის თქმით, ბოლო წლებში იმატა ჰოკეის ვარსკვლავთა ნომრებიანი სვიტერების რეალიზაციამ. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა „დეტროიტის" სვიტერებზე, ცალკეულ მოთამაშეებს რაც შეეხება, ყველაზე პოპულარულია მარიო ლემიეს სვიტერი, რაც ამ ჰოკეისტის პოპულარობაზე მეტყველებს. მეორე ადგილზეა პაველ ბურე („რეინჯერსი"), ხოლო მესამეზე – სტივ აიზერმანი („დეტროიტი").

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**27 ივნისი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. 2003 წ. მიმოხილვა (17.20), ***მე-9 არხი.*** „ქართული ფეხბურთი" (14.50), ***იმედი.*** სპ. პროგრამა „ასი" (10.30), *НТВ* სუპერკრივი. ლენოქს ლიუისი — ოლივერა მაკკოლი (0.00), *НТВ плюс футбол.* „ჩემპიონთა ლიგის არქივი". 98-99 წ.წ. სეზონი: ნახევარფინალი. „მანჩესტერ იუნაიტედი" — „იუვენტუსი" (13.15), „ბავარია" — უკრაინის „დინამო" (22.10), „ფუტბოლ მუნდიალი". (15.00), ლიბერტადორესის თასი. ფინალი. 1-ლი მატჩი (15.30), „გავიხსენოთ განვლილი სეზონი". გერმანიის ჩემპიონატი. „კაიზერსლაუტერნი" — „შტუტგარტი" (17.15), „მანჩესტერ იუნაიტედი" — „არსენალი" (23.55), რუსეთის ჩემპიონატი: „რუბინი" — „ლოკომოტივი". პირდაპირი ტრანსლაცია (18.55), ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.10). ***НТВ плюс спорт*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (11.45, 17.00 — პირდაპირი ტრანსლაცია), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (14.40), ტაილანდური კრივი (15.45), *EUROSPORT.* საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი (12.00), ფეხბურთი: კონფედერაციის თასი. ნახევარფინალი (13.00), ლიბერტადორესის თასი. ფინალი (19.15), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მიმოხილვა (23.30), ყველაზე ღონიერი ადამიანი. გრან-პრი (0.45).

**28 ივნისი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი — 2003. მიმოხილვა (16.55), ***იმედი.*** რაგბი. 7X7. ევროპის ჩემპიონატი. საკვალიფიკაციო ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია (16.00, 19.30), ***როსია.*** „ფორმულა-1". ევროპის გრან-პრი. კვალიფიკაცია (2.30), ***НТВ плюс футбол.*** „გავიხსენოთ განვლილი სეზონი". 98-99 წ.წ. ინგლისის ჩემპიონატი. „მანჩესტერ იუნაიტედი" — „არსენალი" (13.15), გერმანიის ჩემპიონატი. „შტუტგარტი" — „ჰერტა" (19.50), იტალიის ჩემპიონატი „მილანი" — „ინტერი" (0.20). ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.30), „ჩემპიონთა ლიგის არქივი". 98-99 წ.წ. ნახევარფინალები „ბავარია" — უკრაინის „დინამო" (16.00), „იუვენტუსი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" (21.35), რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (23.20). ***НТВ плюс спорт*** მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება (11.45), ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია (17.00), ბრძოლა წესების გარეშე. სამატჩო შეხვედრა რუსეთისა და აშშ-ის ნაკრებებს შორის (0.00), *EUROSPORT.* ფეხბურთი. მსოფლიო თასის ლეგენდები: 1970-88 (13.00), 1986-98 წ.წ (14.00), საბრძოლო ხელოვნება „ტბა" (23.30), საპლაჟო ფეხბურთი. მსოფლიო ტური. ფინალი (2.45).

**29 ივნისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.*** „მსოფლიო ფეხბურთი" (19.30), ***იმედი.*** სპ. პროგრამა „ასი" (14.30), *НТВ плюс футбол.* „ჩემპიონთა ლიგის არქივი". 98-99 წ.წ. ნახევარფინალი. „იუვენტუსი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" (13.15), „ბავარია" — „მანჩესტერ იუნაიტედი" (21.35), რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.00), „გავიხსენოთ განვლილი სეზონი". გერმანიის ჩემპიონატი. „კაიზერსლაუტერნი" — „შტუტგარტი" (16.00), ინგლისის ჩემპიონატი. „ტოტენჰემი" — „არსენალი" (17.45), იტალიის ჩემპიონატი. „მილანი" — „ინტერი" (19.50), ბრაზილიის ჩემპიონატი. „გუარანი" — „სან-პაულუ". პირდაპირი ტრანსლაცია (23.55), ***НТВ плюс спорт*** ჩოგბურთი, უიმბლდონის ტურნირი (11.45), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საერთაშორისო ტურნირი. ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია (14.55), „დიდი რინგი" (20.00), სპორტული ცეკვები. ევროპის ჩემპიონატი ლათინოამერიკულ ცეკვებში (22.25), ტაილანდური კრივი (1.15). *EUROSPORT.* საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური (15.30, 18.15), ფეხბურთი: კონფედერაციის თასი. სპეციალური მიმოხილვა (18.45), ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია (23.30), რაგბი. მსოფლიო თასი. 21-წლიანების ფინალი (20.15).

აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტი და პირადად მისი თავმჯდომარე ამირან ზუხბაია თანაგრძნობას უცხადებენ თამაზ ხუბუას დის გარდაცვალების გამო.



**კროსვორდი № 48**

**თარაზულად:** 1. ნბა-ს კალათბურთელი — ვარსკვლავი, 6. რიტმული მოძრაობით ნაბიჯის გადადგმა, 7. ფეხბურთსა და ჰოკეიში სსრ კავშირის ნაკრების წევრი, 9. ცხენის ფაფარი, 11. საქართველოს საკალათბურთო გუნდი, 12. ალბანეთის ნაკრების ფეხბურთელი, 13. წარსულში ქართველი ალპინისტი პიმენ... 14. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 17. მძლეოსნური იარაღი, 18. წარსულში ცნობილი დინამოელი ფეხბურთელი, 21. ქართული სპორტული საზოგადოება, 22. სასროლეთი ანუ...

**შვეულად:** 1. ტანვარჯიშული იარაღი, 2. სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი ეროვნული ნაკრების წევრი, 3. იაპონიის ნაკრების ფეხბურთელი, 4. ერთგვარი სამაგიდო თამაში, 5. ოლიმპიური (1972) ჩემპიონი 100 და 200 მ. რბენაში, 6. სასროლი იარაღი, 8. ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი წარსულში, 10. მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის, 15. თბილისის „დინამოს" ყოფილი რუსი მწვრთნელი, 16. საკალათბურთო ასოციაცია, 18. ტერმინი ძიუდოში, 19. იტალიის საფეხბურთო კლუბი „იუვენტუსის" მწვრთნელი, 20. მოცურავეთა საასპარეზო არენა.

**შეადგინა ნოდარ ჯაჯვაძემ**

**კროსვორდი №47-ის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. შამილი, 7. ბუერი, 9. ფიგუ, 10. სალტო, 12. ინოკი, 15. აკვრა, 16. გურიელი, 18. ფილია, 20. აკრობატი, 21. „ანდერლეხტი", 22. ულიე.

**შვეულად:** 2. მუ, 3. ლი, 4. სიგელი, 5. იერო, 6. გიტი, 8. ხანგულიანი, 11. ტალინი, 13. ნაკრები, 14. კარანტინი, 17. კარატე, 19. ანრი, 20. ალე.

**საჭადრაკო ამოცანა**

ა. გალიცკი
(1903წ.)




**შამათი 6 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლb5!
1. ... მფ:f4 2. ლb8X
1. ... მფf6 2. კd4X
1. ... მფd6 2. კb8X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com